საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2025 წლის 8 აგვისტო № 115

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მიერ წინასაარჩევნო რეკლამის გაშვების მიზნით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50(1) მუხლის, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით.
2. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2025 წლის 15 აგვისტოდან და მოქმედებს 2025 წლის 4 ოქტომბრამდე.

დანართი 1 ფურცლად.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
დროებით შემსრულებელი — რუსუდან მანჯგალაძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს

08.08.2025წ. №115 ბრძანების დანართი

მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის **1 არხზე** და რადიო **FM 102.3** -ზე წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2025 წლის 15 აგვისტოდან 2024 წლის 4 ოქტომბრამდე პერიოდში ყველა საარჩევნო სუბიექტებისთვის.
საზოგადოებრივი მაუწყებლის **1 არხზე** და რადიო **FM 102.3** -ზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 12-12 წუთს ყველა სუბიქტისთვის ერთად.
ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

1 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	935	935
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	1 100	1 100
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	3 300	3 300
01:00-02:00	ორშაბათი - კვირა	605	605

რადიო FM 102.3			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში)დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	220	220
12:00-16:59	ორშაბათი - კვირა	165	165
17:00-20:59	ორშაბათი - კვირა	275	275
21:00-02:00	ორშაბათი - კვირა	132	132